GEORGIAN

TUSLA
An Ghníomhaireacht um Leanaí agus an Teaghlach
Child and Family Agency

ტუსლას მოკლე სახელმძღვანელო: **მშობლებისთვის, რომლებიც ირლანდიაში ახალი ჩასულები არიან**

CYPSC
CHILDREN & YOUNG PEOPLE'S SERVICES COMMITTEES

www.tusla.ie

შინაარსი

შესავალი	3
რა უფლებები აქვთ ბავშვებს ირლანდიაში	4
მშობლების და მეურვეების პასუხისმგებლობები	4
ბავშვების ზედამხედველობა	4
ოჯახების მხარდაჭერის მომსახურებები	5
ბავშვთა დაცვა და კეთილდღეობა	6
რა უნდა გააკეთოთ, თუ ბავშვთან დაკავშირებით პრობლემა შეამჩნიეთ	6
როგორ შევატყობინო, თუ ბავშვის გამო შეშფოთებული ვარ?	6
ბავშვებზე ზრუნვის სისტემა ირლანდიაში	8
განათლების სისტემა ირლნდიაში	9
სკოლაში ჩარიცხვა	9
სხვა ინფორმაცია, რომელიც შეიძლება დაგეხმაროთ	10
სექსზე თანხმობის ასაკი	10
ირლანდიაში ადამიანებს დაქორწინება რა ასაკში შეუძლიათ?	10
სამუშაო ასაკი	10
გენდერული იდენტობის უფლება	10
ალკოჰოლი და კანონი	10
დაცვისა და განსახლების საერთაშორისო სერვისები (IPAS):	10
ოჯახში ძალადობა და გენდერული ნიშნით ძალადობა	11
ორგანიზაციების სია, რომლებიც ირლანდიაში ახლახან ჩამოსულ ადამიანებთან მუშაობენ	12
სხვა სასარგებლო კონტაქტები	13

შესავალი

ეს გზამკვლევი შემუშავებულია ბავშვთა და ოჯახის სააგენტოს მიერ (ტუსლა), ირლანდიაში ახლახან ჩასული ოჯახების მონაწილეობით და ეს შესწორებული და ხელახალი გამოცემა (2023) ბავშვთა და ახალგაზრდების მომსახურების კომიტეტების (CYPSC) ინიციატივით დაფინანსდა.

ამ დოკუმენტში მოყვანილია რამდენიმე პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომლებიც ვიმედოვნებთ, ირლანდიაში ყოფნისას, ბავშვის ცხოვრების ადრეულ წლებში დაგეხმარებათ, სკოლამდელი აღზრდისა და სასკოლო სისტემით დაწყებული, ბავშვების ზედამხედველობისა და ოჯახის მხარდაჭერის სერვისებით დამთავრებული. ჩვენ ამ დოკუმენტში ასევე სხვა სექციები შევიტანეთ, რომლებიც ვიმედოვნებთ, რომ თქვენთვის სასარგებლო იქნება.

რა უფლებები აქვთ ბავშვებს ირლანდიაში

ბავშვთა უფლებები მოიცავს ჯანმრთელობის, განათლების, ოჯახური ცხოვრების, თამაშისა და დასვენების უფლებას, ცხოვრების ადეკვატურ დონეს და ნებისმიერი სახის ძალადობისა და ზიანისგან დაცვას. ბავშვთა უფლებები მოიცავს ადრეულ წლებს, ბავშვის დაბადებიდან, სრულწლოვანებამდე - ირლანდიაში 18 წლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონიერად დაქორწინებულია.

მშობლების და მეურვეების პასუხისმგებლობები

ირლანდიაში მშობლებს და მეურვეებს, შვილებზე ზრუნვასა და მათ დაცვაზე, უპირველესი პასუხისმგებლობა აკისრიათ. ზოგიერთ შემთხვევაში, მთელი რიგი მიზეზების გამო, მშობლებმა შეიძლება ვერ უზრუნველყონ თავიანთ შვილებზე ზრუნვა და მათი დაცვა და ზოგჯერ შეიძლება საჭირო გახდეს უფრო ინტენსიური დახმარება, რათა ბავშვები ზიანისგან დაიცვან. ამ გარემოებებში, ირლანდიის სახელმწიფოს შეუძლია, იმ მიზნით ჩაერიოს, რომ ოჯახის არსებული ძლიერი მხარეები გაამყაროს. სხვადასხვა სახელმწიფო უწყება ოჯახებს სირთულეების გადალახვაში და ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დახმარებას სთავაზობს.

მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ ირლანდიაში ბავშვზე გალაწუნება, ან დარტყმა, ზრდასრულისთვის სახლშიც და სკოლაშიც დაუშვებელია. ირლანდიაში ბავშვების ფიზიკური დასჯის ყველა ფორმა უკანონოა. ეს შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს და An Garda Síochána-ს (ირლანდიის პოლიცია) გადაეცეს.

ბავშვების ზედამხედველობა

მშობლების ან მეურვეების უმეტესობას, გარკვეული დროის შვილებისგან მოშორებით გატარება უწევს, იქნება ეს სამსახურში დიდი ხნით დარჩენა, თუ სოციალური საქმიანობისთვის მცირე დროის დათმობა. ბავშვები არასოდეს უნდა დატოვოთ მარტო, ამიტომ მშობლებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ მათ შვილზე სანდო მეგობრებმა, ან ბავშვზე ზრუნვის სამსახურმა, ან მომვლელმა იზრუნონ.

არ არსებობს დადგენილი ასაკი, რომელზეც ბავშვების სახლში მარტო დატოვება კანონიერია, რადგან ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ბავშვი მარტო დარჩენისთვის რამდენად მომწიფებულია. ირლანდიაში 14 წლამდე ასაკის ბავშვები, საკმარისად მოწიფულნი არ არიან იმისთვის, რომ მარტო, ან ზედამხედველობის გარეშე დარჩნენ. უფროსი თინეიჯერებისთვის, გადაწყვეტილებას მშობელი ან მეურვე იღებს, რომელიც შვილს, მისი სიმწიფის დონეს და ცხოვრებისეულ გარემოებებს ეფუძნება.

ბავშვები სხვადასხვა ასაკში მწიფდებიან, მაგრამ ქვემოთ მოცემულია სანიმუშო სახელმძღვანელო იმაზე, თუ როდის შეუძლიათ ბავშვებს მარტო დარჩენა.

ჩემი ჩვილის სახლში მარტო დატოვება შემიძლია?
არა, რამდენიმე წუთითაც კი არა.

ჩემი პატარა შვილის სახლში მარტო დატოვება შემიძლია, თუ არა?
მცირეწლოვანი ბავშვები სახლში მარტო არასდროს, მცირე ხნითაც კი არ უნდა დარჩნენ.

ჩემი უფროსი შვილის სახლში მარტო დატოვება შემიძლია, თუ არა?
რეკომენდებულია, რომ 14 წლამდე ასაკის ბავშვების სახლში მარტო დატოვება, მხოლოდ ძალიან მოკლე დროით .

ჩემი მოზარდი შვილის სახლში მარტო დატოვება შემიძლია?
16 წელზე მეტი ასაკის მოზარდების სახლში მარტო დატოვება შეიძლება

რა ასაკის უნდა იყოს ძიძა?
თუ თქვენ ძიძის მომსახურების გამოყენება გჭირდებათ, ყოველთვის უნდა დარწმუნდეთ, რომ ის 16 წელზე მეტისაა და მას ორი რეკომენდაცია უნდა მოსთხოვოთ, რათა დარწმუნდეთ, რამდენად პასუხისმგებლიანია, რათა თქვენს შვილებთან დარჩეს.
(Globe All IPIP-ის საინფორმაციო პაკეტი, 2010)

თუ ბავშვი მარტო და ზედამხედველობის გარეშე რჩება, განსაკუთრებით ჯგუფურ გარემოში და ამ საკითხთან დაკავშირებით, რაიმე პრობლემა არსებობს, მაშინ, ამ პირობებში, პრობლემების გადასაჭრელად და ოჯახის მხარდასაჭერად, შეიძლება ტუსლას სოციალური მუშაკები ჩაერიონ.

ოჯახების მხარდაჭერის მომსახურებები

ოჯახური ცხოვრება ყოველთვის ადვილი არ არის, განსაკუთრებით გარდამავალ და გაურკვევლობის მძიმე პერიოდებში. ტუსლას ოჯახების მხარდამჭერ მომსახურებებს დახმარება შეუძლია. უბრალოდ, თქვენს პრობლემაზე ვინმესთან საუბარი, შეიძლება პრობლემის მოსაგვარებლად ყველაზე მარტივი გზა იყოს. უფროსებისთვის, მოზარდებისთვის, ბავშვებისთვის და მზრუნველებისთვის მრავალი მხარდამჭერი ჯგუფი არსებობს, რომლებიც ადამიანებს შესაძლებლობას აძლევენ, საკუთარი ისტორიები მოყვნენ და ერთმანეთს მხარი დაუჭირონ. ოჯახის მხარდაჭერის მომსახურებები, ოჯახებს ძირითადად, საკუთარ სახლებში და თემებში მიეწოდება.

რა გარემოებებშიც უნდა იყოთ, ტუსლა უამრავ მომსახურებას გთავაზობთ, რომლებიც ოჯახებისთვის რჩევებსა და დახმარებას მოიცავს. ეს მოიცავს ოჯახის მხარდაჭერის, სოციალურ და ახალგაზრდობის მუშაკებს, საოჯახო რესურს ცენტრებს, მხარდაჭერის ჯგუფებს და საკონსულტაციო სერვისებს. ამ სერვისებზე წვდომა, ადგილობრივი საოჯახო რესურსცენტრებისა და ბავშვთა და ოჯახების მხარდაჭერის ქსელების მეშვეობითაა შესაძლებელი. ამ ტიპის სერვისები, ოჯახებს რთული საკითხების გადაჭრაში ეხმარება, ბავშვებისთვის ცხოვრების სტაბილურ გარემოს უზრუნველყოფს და ეხმარება მშობლებს, რომლებსაც ამის შესაძლებლობა არ აქვთ.

საოჯახო რესურს ცენტრები მრავალი თემის ცენტრშია და ისინი ინფორმაციის, რჩევისა და მხარდაჭერის შესანიშნავი წყაროები არიან. ისინი ასევე ოჯახის მხარდაჭერისა და აღზრდის პროგრამების ფართო სპექტრს უზრუნველყოფენ:
https://www.familyresource.ie/

ოჯახების მხარდაჭერის საკონტაქტო პირები

ბავშვების და ოჯახების მხარდაჭერის ქსელები	https://www.tusla.ie/familysupport/
აღზრდაში მხარდაჭერა	https://www.tusla.ie/parenting-24-seven/
სოციალური სამუშაოს ადგილობრივი გუნდები	https://www.tusla.ie/get-in-touch/duty-social-work-teams/
ბავშვთა და მოზარდთა მომსახურების კომიტეტები (CYPSC)	https://www.cypsc.ie/contact.36.html
ირლანდიის მთავრობის აღზრდის მხარდაჭერის ვებგვერდი	https://www.gov.ie/en/publication/91ea0-support-and-advice/#local-supports-for-parents

ბავშვთა დაცვა და კეთილდღეობა

ბავშვთა და ოჯახის სააგენტო (ტუსლა), ირლანდიაში ბავშვების უსაფრთხოებაზე და კეთილდღეობაზეა პასუხისმგებელი. ირლანდიის კანონმდებლობით, Garda Síochána-ს (ირლანდიის პოლიცია) პასუხისმგებლობა ასევე ბავშვების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზეც აქვს.

ირლანდიაში ყველა ვალდებულია, განაცხადოს იმის შესახებ, რომ ბავშვები, რომლებთანაც მათ ურთიერთობა აქვთ, ძალადობას და უგულვებელყოფას განიცდიან

რა უნდა გააკეთოთ თუ ბავშვთან დაკავშირებით, პრობლემა შეამჩნიეთ

ირლანდიაში ყველასთვის კანონიერი ვალდებულებაა, ბავშვის შესახებ რაიმე პრობლემის შესახებ შეტყობინებაა. ტუსლას ყოველთვის უნდა შეატყობინოთ, თუ გაქვთ გონივრული საფუძველი იმისა, რომ ბავშვი ძალადობის, ან უგულებელყოფის საფრთხის ქვეშ იყო, არის, ან იქნება. ეს ასევე ეხება შემთხვევებს, როცა რამეს ჯგუფურ გარემოში ან განსახლების ცენტრში ხედავთ.

თუ გაწუხებთ ბავშვის კეთილდღეობა და უსაფრთხოება, დაუყოვნებლად უნდა დაუკავშირდეთ ტუსლას სოციალური სამუშაოს მორიგე გუნდებს/ სპეციალურ საკონტაქტო პუნქტებს: https://www.tusla.ie/get-in-touch/duty-social-work-teams/

როგორ შევატყობინო, თუ ბავშვის გამო შეშფოთებული ვარ?

შეგიძლიათ, თქვენი შეშფოთების შესახებ, იმ ტერიტორიაზე, სადაც ბავშვი ცხოვრობს, ადგილობრივ სოციალური სამუშაოს მორიგე სამსახურს, პირადად, ტელეფონით, ან წერილობით შეატყობინოთ. აქ შეგიძლიათ, ტუსლას სოციალური სამუშაოს გუნდების საკონტაქტო ინფორმაცია იპოვოთ: https://www.tusla.ie/children-first/contact-a-social-worker3/

ბავშვთა დაცვასთან ან კეთილდღეობასთან დაკავშირებული შეშფოთება შეიძლება მოიცავდეს:

- ტრავმის ან ქცევის მტკიცებულება, რომელიც ძალადობას შეესაბამება და ნაკლებად სავარაუდოა, რომ სხვაგვარად იყოს გამოწვეული
- შესაძლო სექსუალურ ძალადობაზე ნებისმიერი შეშფოთება
- ხშირი ნიშნები იმისა, რომ ბავშვი ემოციურ ან ფიზიკურ უგულებელყოფას განიცდის
- ბავშვი ამბობს ან სხვა საშუალებებით მიუთითებს, რომ მასზე ძალადობა განხორციელდა
- ზრდასრულის ან ბავშვისგან, მათ მიერ ჩადენილი სავარაუდო ძალადობის აღიარება, ან მითითება
- მონაყოლი იმ პირისგან რომელმაც ბავშვზე ძალადობა დაინახა

ბავშვებთან დაკავშირებით, ნორმალური სამუშაო საათების მიღმა, ნებისმიერი შეკითხვის, ან შეშფოთების შემთხვევაში, შეგიძლიათ დაუყოვნებლივ შეატყობინოთ An Garda Síochána-ს: https://www.garda.ie/en/contact-us/station-directory/

ბავშვებზე ზრუნვის სისტემა ირლანდიაში

სკოლამდელი ასაკის ბავშვზე ზრუნვა

ირლანდიაში, ზოგადად, 6 წლამდე ასაკის ბავშვებს სკოლამდელ განათლებაზე წვდომა აქვთ. ამ საქმეში ოჯახების დასახმარებლად, ორი ძირითადი სქემა არსებობს:

1. სკოლამდელი ბავშვების მოვლისა და განათლების პროგრამა (ECCE)
2. ბავშვზე ზრუნვის ეროვნული სქემა (NCS

ECCE - უფასო სკოლამდელი პროგრამა

ECCE პროგრამა არის უფასო სკოლამდელი პროგრამა, რომელიც ყველა ბავშვისთვის, დაწყებითი სკოლის დაწყებამდე, ორი წლის განმავლობაშია ხელმისაწვდომი. ეს სექტემბრიდან ივნისამდე, დღეში სამი საათი, კვირაში ხუთი დღის განმავლობაში გრძელდება.

ბავშვებს ამ პროგრამაზე დასწრება სექტემბრიდან იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ 2 წელი და 8 თვე შეუსრულდათ. ეს პროგრამა მთავრდება, როცა ბავშვი 5 წლის და 6 თვისაა. ECCE სქემის შესახებ ნებისმიერი შეკითხვისთვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ: **eyqueries@dcya.ie**

ბავშვზე ზრუნვის ეროვნული სქემა

ბავშვზე ზრუნვის ეროვნული სქემა (NCS) არის დამატებითი სქემა, რომელიც ECCE სქემას „მოიცავს“. ის სკოლამდელი დაწესებულების გარეთ გატარებულ დროში წარმოქმნილ, ბავშვზე ზრუნვის ფინანსურ ხარჯებს, დამატებითი ფინანსური მხარდაჭერით უზრუნველყოფს. ამ სქემაზე, სამი ტიპის მიმართვის შესრულებაა შესაძლებელი: 1. უნივერსალური,

2. შემოსავლის მიხედვით და

3. სპონსორის მიმართვები.

ინფორმაციისთვის 1-ზე. უნივერსალური და 2. მიმართვა შემოსავლის მიხედვით: დაუკავშირდით: **www.ncs.gov.ie** ან **+353 1 906 8530.**

სპონსორის მიმართვები: თუ თქვენ დროებითი დაცვა მიიღეთ, ბავშვზე ზრუნვის ეროვნულ სქემას (NCS), NCS-ის სპონსორობის ფარგლებში, ბავშვზე ზრუნვის სრული ღირებულების დაფარვა შეუძლია. ეს სპონსორული მიმართვა, სპონსორი სააგენტოს მიერ უნდა შესრულდეს, რომელთაგან ერთ-ერთი ტუსლაა.

ჩემთვის, როგორც მშობლისთვის, ტუსლას სპონსორული მიმართვა რას ნიშნავს?
ტუსლას თანამშრომელი, რომელიც თქვენთან მუშაობს, ამ ტიპის მიმართვისთვის, მიმართვის ფორმას შეგივსებთ. ამ ფორმაში მითითებულია ბავშვზე ზრუნვის საათების რაოდენობა, რომლის გამოყენებაც, კვირის განმავლობაში შეგიძლიათ. კვირის განმავლობაში, მაქსიმუმ 45 საათია ხელმისაწვდომი. თქვენ ამ საათების გამოყენება, ტუსლას მიერ რეგისტრირებული, ბავშვებზე ზრუნვის მომსახურების პროგრამაში მონაწილეობით შეგიძლიათ. მიმართვის ფორმაში ასევე მიმართვის ხანგრძლივობა იქნება მითითებული. საერთოდ, ეს ერთი წლის განმავლობაში ხდება.

მეტი ინფორმაციის მიღება სად შემიძლია?
NCS-ის სპონსორების გუნდს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ტელეფონით **+353 1 906 8535** დილის 9-დან საღამოს 5 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, ან ელ.ფოსტით **sponsors@ncs.gov.ie**

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ **ბავშვთა მოვლის ძებნის ფუნქცია** რათა NCS-ის ბავშვთა მოვლის მომსახურების პროვაიდერების სრული სია მოძებნოთ მისამართზე: www.ncs.gov.ie

ქალაქის/ქვეყნის ბავშვთა მოვლის კომიტეტები
ისინი ოჯახებს ასევე მხარს უჭერენ და ეხმარებიან ადრეული სწავლის მიმწოდებლების მოძებნაში. ინფორმაციის ნახვა აქ შეგიძლიათ: **www.myccc.ie**. 4-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებს, სახელმწიფოს მიერ მიწოდებული საჯარო დაწყებითი ან დაწყებითის შემდგომი განათლების მიღებაში დაეხმარებიან, რასაც სახელმწიფო, სიტუაციის შესაბამისად უზრუნველყოფს.

განათლების სისტემა ირლანდიაში

სკოლაში ჩარიცხვა

ირლანდიაში ბავშვები სკოლაში 6-დან 16 წლამდე უნდა იარონ.

სკოლის პირველ წლებს უწოდებენ „დაწყებითი სკოლის“ წლებს. ეს განათლება უფასოა და კანონი ყველა ბავშვს დასწრებას ავალდებულებს. სკოლაში სწავლის დასაწყებად, ბავშვი სასწავლო წლის დასაწყისში, მინიმუმ 4 წლის უნდა იყოს. ირლანდიაში მშობელმა, ან მეურვემ უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვი სკოლაში ყოველდღე დადიოდეს. თუ ბავშვს გაცდენა უწევს, მშობელმა, ან მეურვემ, ამის შესახებ, სკოლას უნდა აცნობოს და ამის მიზეზი დაასახელოს. სკოლამ ტუსლას განათლების მხარდაჭერის სამსახურს უნდა შეატყობინოს, თუ თქვენმა ბავშვმა სასწავლო წლის განმავლობაში, ოცი დღე, ან მეტი გააცდინა, ან შიშობს, რომ თქვენი ბავშვი ბევრს აცდენს. გთხოვთ, სკოლაში ბავშვების დასწრების ინფორმაცია იხილიოთ აქ:
https://www.tusla.ie/uploads/content/english_leaflet.pdf

ირლანდიაში სკოლის შემდგომ ეტაპს ეწოდება „საშუალო, ან დაწყებითის შემდგომი სკოლა“ განკუთვნილია დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლეებისთვის. 16 წლამდე ასაკის მოსწავლეებისთვის, სკოლაში დასწრება აუცილებელია. საშუალო სკოლების უმეტესობაში სწავლა უფასოა.

4-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებს, სახელმწიფოს მიერ მიწოდებული, საჯარო დაწყებითი, ან საშუალო განათლების მიღებაში დაეხმარებიან. იმისათვის, რომ ბავშვმა განათლება დაიწყოს, შეგიძლიათ, თქვენს ადგილობრივ სკოლას მიმართოთ და ისინი ჩარიცხვისთვის საჭირო ინფორმაციას მოგაწვდიან.

სკოლების სია შეგიძლიათ იხილოთ აქ:
https://www.gov.ie/en/directory/category/495b8a-schools/

განათლებისა და ენის რეგიონული გუნდები (REALTs), იმ ოჯახებს დაეხმრებიან, რომლებიც საერთაშორისო დაცვის მიღებას ცდილობენ და ვისი შვილები სკოლაში ჩარიცხვას საჭიროებენ. ოჯახებს, რომლებსაც სკოლაში ადგილის მიღება უჭირთ, შეუძლიათ, **T-ის ადგილობრივ გუნდს**დაუკავშირდნენ:
https://www.gov.ie/en/publication/48639-information-for-schools-ukraine/

ტუსლას განათლების მხარდაჭერის მომსახურების (TESS)თანამშრომლები არიან REALT-ის გუნდების ძირითადი წევრები და ოჯახებს ასევე დაეხმარებიან, თუ მათ სკოლაში ადგილის მოძებნა გაუჭირდებათ:
https://www.tusla.ie/tess/get-in-touch/
ან **+353 1 7718636** / **+353 1 7718586**

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეიძლება დაგეხმაროთ

სექსზე თანხმობის ასაკი

ირლანდიაში, სექსზე ლეგალურად დათანხმება 17 წლის ასაკში შეიძლება. სულ ერთია, რომელი სექსუალური ორიენტაცია გაქვთ, ან რომელი გენდერის, ან გენდერების პარტნიორებთან გაქვთ სექსუალური აქტივობა. ამის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღება შემდეგ მისამართზე შეგიძლიათ:
https://www.citizensinformation.ie/en/birth-family-relationships/children-s-rights-and-policy/

ირლანდიაში ადამიანებს დაქორწინება რა ასაკში შეუძლიათ?

ირლანდიაში ადამიანებს დაქორწინება 18 წლიდან შეუძლიათ თუ პირი 18 წლამდე ასაკისაა, მან სასამართლოს უნდა მიმართოს, რათა ქორწინების ნებართვისთვის, „გათავისუფლების ორდერი“ მიიღოს.

სამუშაო ასაკი

ირლანდიაში 14-დან 18 წლამდე ბავშვები ხანდახან, ზაფხულში, ან არასასკოლო საათებში, ნახევარ განაკვეთზე მუშაობენ. ახალგაზრდები, რომლებიც კოლეჯში სწავლობენ, ასევე ხანდახან არასრულ სამუშაო დღეს მუშაობენ და ამას სწავლას უთავსებენ.

ახალგაზრდას ნახევარ განაკვეთზე მუშაობა 14 წლიდან შეუძლია, სრულ განაკვეთზე კი - 16 წლიდან. თუმცა, სანამ ისინი 18 წელს მიაღწევენ, ახალგაზრდების მუშაობის დროსა და სამუშაოს ტიპზე შეზღუდვები არსებობს.

18 წლამდე ასაკში მუშაობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე Citizens Information:
www.citizensinformation.ie

გენდერული იდენტობის უფლება

ირლანდიაში თქვენი სქესის დადგენა, ნებისმიერ ასაკში შეგიძლიათ. თქვენი სქესის კანონიერად აღიარებისთვის, თქვენ 18 წელზე მეტის უნდა იყოთ. ამის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღება შემდეგ მისამართზე შეგიძლიათ:
https://www.citizensinformation.ie/en/birth-family-relationships/legal-recognition-of-preferred-gender/

ალკოჰოლი და კანონი

ირლანდიაში, თქვენ უნდა იყოთ 18 წლის, ან მეტი ასაკის, რომ ალკოჰოლი იყიდოთ. 18 წლამდე ასაკის პირისთვის ალკოჰოლის მიწოდება, ყიდვა ან მიცემა უკანონოა. ირლანდიაში, ბევრ საზოგადოებრივ ადგილზე, ალკოჰოლის დალევა დაუშვებელია.

დაცვისა და განსახლების საერთაშორისო სერვისები (IPAS):

თუ თქვენ სახელმწიფო საცხოვრებელი გჭირდებათ, მხარდაჭერისთვის IPAS-ის საინფორმაციო სამსახურს (ხელმისაწვდომია 24 საათის განმავლობაში) დაუკავშირდით:
ipasinbox@equality.gov.ie

ზოგადი ინფორმაციისთვის:

- ირლანდიის ლტოლვილთა საბჭო: www.irishrefugeecouncil.ie
- მოქალაქეების ინფორმაცია: https://www.citizensinformation.ie/en/moving-country/asylum-seekers-and-refugees/

ოჯახში ძალადობა და გენდერული ნიშნით ძალადობა

ოჯახში ძალადობა მიუღებელია და ირლანდიის კანონს ეწინააღმდეგება. ამის შესახებ შეგიძლიათ, შეატყობინოთ **An Garda Síochána-ს,** თუ ეს თქვენ, ან თქვენს ოჯახს შეგემთხვევათ. ოჯახური ძალადობა გულისხმობს ფიზიკური ძალის, ემოციური ძალის, ან ფიზიკური ძალის მუქარის გამოყენებას, მათ შორის, სექსუალურ ძალადობას ზრდასრულთან ახლო ურთიერთობებში.

იგი მეუღლის, პარტნიორის, ვაჟის, ქალიშვილის, ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ ძალადობას მოიცავს, რომელსაც მსხვერპლთან ახლო ურთიერთობა აქვს, ან მასთან ცხოვრობს.

ირლანდიაში, ოჯახური ძალადობის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, არსებობს დაცვის შესაძლებლობა, რასაც უსაფრთხოების უზრუნველმყოფი და ამკრძალავი ბრძანებები(რაც ადამიანს თქვენთან, ან თქვენს სახლთან მიახლოებას უკრძალავს) უზრუნველყოფს. ამის შესახებ დამატებითი ინფორმაცია, ირლანდიის იურიდიული დახმარების საბჭოსგანაა ხელმისაწვდომი: www.legalaidboard.ie

დახმარების ხაზი და კრიზისის მომსახურებები

Garda Síochána (ირლანდიური პოლიცია) - 24 საათი	999/112, ან Garda-ს ადგილობრივი განყოფილება https://www.garda.ie/en/
გაუპატიურების კრიზისის დახმარების ეროვნული ხაზი - 24 საათი	1800 778888 https://www.drcc.ie/services/
ქალთა დახმარების ხაზი - 24 საათი	1800 341900 https://www.womensaid.ie/
მამაკაცთა განვითარების ქსელი	1800 816588 https://mensnetwork.ie/
მამაკაცთა დახმარება ირლანდიაში	01 554 3811 https://www.mensaid.ie/

ორგანიზაციების სია, რომლებიც ირლანდიაში ახლახან ჩამოსულ ადამიანებთან მუშაობენ

იმიგრანტების მხარდაჭერის ცენტრი (CISC) Clare	www.clareimmigrantsupportcentre.com
Crosscare *(ლტოლვილთა ინფორმაციისა და დაცვის სამსახური)*	www.crosscare.ie www.livinginireland.ie იმეილი: refugeeservice@crosscare.ie
Doras Luimní *(ლიმერიკში და უფრო ფართო შუა დასავლეთის რეგიონში მცხოვრები ყველა მიგრანტის უფლებების მხარდაჭერა)*	www.dorasluimni.org
ირლანდიის ფოკუსი *(ოჯახების, ახალგაზრდების და უსახლკარობის რისკის ქვეშ მყოფი, ან დაზარალებული ბავშვების დახმარება)*	www.focusireland.ie
ირლანდიის იმიგრანტთა საბჭო	www.immigrantcouncil.ie
ემიგრანტების მხარდაჭერის კლინიკა საგრაფო კილკენში	www.frmcgrathcentre.ie/immigrant-support-clinic/
მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) *(ორგანიზაციის ირლანდიური ფილიალი)*	https://ireland.iom.int/
ირლანდიის ლტოლვილთა საბჭო	www.irishrefugeecouncil.ie
იეზუიტთა ლტოლვილთა სამსახური (JRS) *(დევნილებისთვის რამდენიმე პირდაპირი მხარდაჭერის მომსახურებას უზრუნველყოფს)*	www.jrs.ie
მაიოს კულტურათშორისი მოღვაწეობა	https://www.mayo.ie/en-ie/living-in-mayo/living-services/mayo-intercultural-action
Nasc *(ორგანიზაცია, რომელიც ადამიანის უფლებების, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისთვის მუშაობს)*	www.nascireland.org
ახალი თემების პარტნიორობა (NCP) *(ეროვნული დამოუკიდებელი ქსელი, რომელიც იმ 175 ჯგუფისგან შედგება, რომლებსაც 65 ეროვნების იმიგრანტები უძღვებიან და რომელთა განყოფილებები დუბლინის და კორკის საგრაფოში მოქმედებს და სხვა ქალაქებთან წვდომაც აქვთ)*	www.newcommunities.ie იმეილი: info@newcommunities.ie

Ruhama *(ორგანიზაცია, რომელიც პროსტიტუციით და კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებით დაზარალებულ ქალებთან მუშაობს)*	www.ruhama.ie
SPIRASI *(მუშაობს თავშესაფრის მაძიებლებთან, ლტოლვილებთან და სხვა დაუცველ მიგრანტებთან)*	www.spirasi.ie
Tralee-ს საერთაშორისო რესურს ცენტრი (TIRC)	www.tirc.ie
UNHCR *(გაეროს ლტოლვილთა სააგენტო)*	www.unhcr.org/en-ie

სხვა სასარგებლო კონტაქტები

An Garda Síochána (ირლანდიის პოლიცია) *(ირლანდიის ეროვნული პოლიციის სამსახური)*	https://www.garda.ie/en/contact-us/station-directory/
Barnardos *(ორგანიზაცია, რომელიც ბავშვებთან და ოჯახებთან მუშაობს)*	www.barnardos.ie
ბავშვთა უფლებების ალიანსი *(ინფორმაცია ბავშვთა უფლებებსა და კანონზე ირლანდიაში)*	www.childrensrights.ie
ბავშვთა და მოზარდთა მომსახურების კომიტეტები *(ინფორმაცია და მომსახურება ახალგაზრდებისთვის)*	www.cypsc.ie
მოქალაქეების ინფორმაცია *(ინფორმაცია უფლებებსა და კანონებზე ირლანდიაში)*	www.citizensinformation.ie
ბავშვებზე ზრუნვის საქალაქო და საოლქო კომიტეტები *(ეხმარება სკოლამდელ დაწესებულებებში ადგილებით უზრუნველყოფაში)*	www.myccc.ie
ბავშვთა, თანასწორობის, ინვალიდობის, ინტეგრაციისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტი *(ირლანდიის სამთავრობო დეპარტამენტი, რომელიც ბავშვებზეა პასუხისმგებელი)*	www.gov.ie/dcediy ტელეფონი: +353 1 6473000 იმეილი: contact@equality.gov.ie

სოციალური დაცვის დეპარტამენტი *(ირლანდიის სამთავრობო დეპარტამენტი, რომელიც მოზრდილებისა და ბავშვებისთვის, სოციალური კეთილდღეობის ყველა ანაზღაურებაზე და შემწეობაზეა პასუხისმგებელი)*	www.gov.ie/en/organisation/department-of-social-protection
ირლანდიის განათლებისა და ტრენინგის საბჭოები (ETBI) *(ინფორმაცია განათლებისა და სასკოლო ადგილების შესახებ)*	www.etbi.ie
ჯანდაცვის მომსახურების აღმასრულებელი (HSE) ბავშვთა უსაფრთხოების საკონტროლო სია პირველადი დახმარებისთვის	https://www.hse.ie/eng/health/child/childsafety/checklist-first-aid.pdf
ჯანდაცვის მომსახურების აღმასრულებელი (HSE) ბავშვის უსაფრთხოების საკონტროლო სია მშობლებისთვის, მათ შორის, ბავშვებისგან დაცვისთვის	https://www2.hse.ie/babies-children/child-safety/at-home/child-proof-your-home/
ჯანდაცვის მომსახურების აღმასრულებელი (HSE) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მზრუნველთა მხარდაჭერა - შემწეობები და შეღავათები (ირლანდიის ჯანდაცვის სამსახური)	https://www2.hse.ie/services/disability-support-and-services/support-for-carers-of-children-with-a-disability/benefits-and-entitlements-for-carers-of-children-with-a-disability.html
ჯანდაცვის მომსახურების აღმასრულებელი (HSE) შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვთა სამსახური (ირლანდიის ჯანდაცვის სამსახური)	https://www2.hse.ie/services/disability-support-and-services/childrens-disability-services/find-a-childrens-disability-service.html
ჯანდაცვის მომსახურების აღმასრულებელი (HSE) შეზღუდული შესაძლებლობების მხარდაჭერა და მომსახურებები (ირლანდიის ჯანდაცვის სამსახური)	https://www.hse.ie/eng/services/list/4/disability/
ჯანდაცვის მომსახურების აღმასრულებელი (HSE) ნარკოტიკების და ალკოჰოლის დახმარების ხაზი (ირლანდიის ჯანდაცვის სამსახური)	ზარი უფასოა: 1800 459 459
ჯანდაცვის მომსახურების აღმასრულებელი (HSE) ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერა და მომსახურება (ირლანდიის ჯანდაცვის სამსახური)	https://www2.hse.ie/services/mental-health/services-search/ ტელეფონი: 1800 111 888
ირლანდიის მთავრობა და დეპარტამენტები	www.gov.ie
ISPCC *(უშუალოდ ბავშვებისა და ოჯახებისთვის, რიგ მომსახურებებს უზრუნველყოფს)*	www.ispcc.ie

იურიდიული დახმარების საბჭო *(დამოუკიდებელი, საჯაროდ დაფინანსებული ორგანიზაცია, რომელიც სამოქალაქო იურიდიულ დახმარებას და რჩევებს უზრუნველყოფს)*	www.legalaidboard.ie
ბავშვზე ზრუნვის ეროვნული სქემა *(ინფორმაცია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე)*	https://www.ncs.gov.ie/en/ +353 1 906 8530 – უნივერსალური/ შემოსავლით შეფასებული დანართები +353 1 906 8535 – სპონსორთა მიმართვები
ბავშვთა ეროვნული ქსელი *(ადრეული ბავშვობის სექტორის მხარდაჭერას უზრუნველყოფს)*	https://ncn.ie/parents/
მშობელთა ეროვნული საბჭო *(დახმარების ხაზი და სწავლება მშობლების მხარდასაჭერად მათი შვილის განათლების ყველა ასპექტში)*	www.npc.ie
მშობელთა ხაზი *(მშობელთა მხარდაჭერა)*	www.parentline.ie ტელეფონი: +353 1 8733500
რეგიონალური განათლებისა და ენის გუნდები (REALTs) *(სასკოლო ადგილების დასახმარებლად)*	https://www.gov.ie/en/publication/48639-information-for-schools-ukraine/
სამარიტელები ირლანდია *(ქველმოქმედება ირლანდიაში, რომელიც ემოციურ მხარდაჭერას გთავაზობთ დღეში 24 საათი, წელიწადში 365 დღე)*	https://www.samaritans.org/ireland/samaritans-ireland/
ტუსლა, ბავშვთა და ოჯახის სააგენტოს სათაო ოფისი *(ბავშვებზე და ახალგაზრდებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სააგენტო)*	ტუსლა, ბავშვთა და ოჯახის სააგენტო The Brunel Building, Heuston South Quarter, Saint John's Road West, Dublin 8. D08 X01F ტელეფონი: +353 1 7718500 იმეილი: info@tusla.ie www.tusla.ie
ტუსლა, ბავშვთა და ოჯახის სააგენტო მორიგე სოციალური სამუშაო გუნდები/ გამოყოფილი საკონტაქტო ცენტრები	https://www.tusla.ie/get-in-touch/duty-social-work-teams/

www.tusla.ie